# სახალხო გაზეთი

№ 567 პარასკევი, 6 აპრილი, 1912 წ. № 567

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

(სურათებიანი დამატება)

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს **გრდემლს.**

აპრილიდან წლის ბოლომდე ღირს 6 მ. 75 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.


**მარიამ ნიკოლოზის ასული იმხნელისა, ნატალია ივანეს ასული, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე და ელისაბედ ალექსანდრეს ასული ტატიშვილნი, პარმენ დომენტის ძე, დავით და ვლადიმერ მაჭარაშვილნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ გარდაიცვალა პირველისა - მეუღლე, მეხუთისა—ქვისლი და დანარჩენთა—სიძე

**ივანე იორამის ძე იმხნელი.**

დაკრძალვა სოფელ არადეთში, საგვარეულო სასაფლაოზე, შაბათს, 7 აპრილს. (1.350.1)


**დღეს, 6 აპრილს**

**არტისტიულ საზოგადოების დარბაზში** სახელმწიფო სათათბიროს წევრი

**პავლე ნიკოლოზის ძე მილიუკოვი**

წაიკითხავს ლექციას შემდეგის პროგრამით:

**ერი და სახელმწიფო.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება არტისტ. საზოგ. მეკარესთან დილის 10—2 საათ. და 6—8 საათ. (2—348—2)

**ქართულს თეატრში**

დღეს, პარასკევს 6 აპრილს, გამართული იქნება ყველგან ცნობილის სკრიპკაზედ დამკვრელის ბრანისლავ

**გუზერმანის კონცერტი.**

მასთან ერთად მონაწილეობას იღებს ახალი კლუბის ორკესტრი 50 კაცამდე შევსებული **ზ. პ. ფალიაშვილის** ლოტბარობით და გამოჩენილის პიანისტი **ლ. შპილმანისა.** შესრულებული იქნება, სხვათა შორის, სკრიპკის რეპერტუარში განთქმული ორი გამოჩენილი კონცერტი: **ბეთხოვენისა და ბრამსისა.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (1—1189—1)

**ახალი კლუბი**

**შაბათს, 7 აპრილს.**

**ჩვეულებრივი საოჯახო საღამო**

I

საკონცერტო განყოფილება „ახალი კლუბის“ სიმფონიური სიმებიანი ორკესტრისა **ს. ი. პრესმანის** ლოტბარობით. ორკესტრი შეასრულებს: უვერტიურა ოპერა „გუარანი“ გომესისა; ვალსი, ოპ. „იოლკა“, რებიკოვისა; სერენადა ფილკმანისა სიმებიანი ორკესტრისათვის; სოლოს ველონჩიელზე—აასრულებს ზ. ცედლერი; ისპანიური ფანტაზია—ბ. დემერსმანისა. II. **სინემატოგრაფი ქ-6 ივანიცკიასა.**

**დასაწყ. საღ. 9 ს.** (2.1149.1)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყოფ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11 1/2—12 საათ. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. |
| | **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12 1/2—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| სადოსტაქრო (ქირურგიული). | **მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტატი** (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11 1/2—12 1/2. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| სამშობიარო, ქალ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| | **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვების ავადმყოფ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11 1/2—12 ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12 1/2—1. |
| | **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10 1/2—11. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2 1/2—3. |
| თვალის ავ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2 1/2. |
| კან. ვენ. ავ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1 1/2. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—309)

**შეიძლება დაკვეთა: ილია ჭავჭავაძის თხზულებანი**

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა **ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები** (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto. **ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან;** წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში და ტფილისის კერძო სამკურნალოში (ქსენიევის ქ., № 7). **ქუთაისში—ბ. ოცხელთან; სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან; სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** ფოსტით ფული უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ამ მისამართით (აგრეთვე ყოველნაირი მიწერ-მოწერისათვის): Тифлисъ, Коргановская № 20, собств. д. Д-ру Мих. Гелевани. (3—1153—3)

**ყურადღება!**

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

**ყურადღება მიაქციონ**

**ახლად გამოსულ პაპიროსებს**

**„ირის“,**

25 ცალი 15 კ. დ 10 ც.—6 კ.

**საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა,** ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

**ყველგან იყიდება.**

თამბაქ. ქარხანა

**„ძმ. სეილანოვები“.**

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42. (100.1036.12)

**გამოვიდა და იყიდება**

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნის მაღაზიაში**

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

**სალიტერატურო კრებული**

**„გრდემლი“.**

**ფასი** 1 მ. 50 კ. (თ.1098.49)

**სავაჭრო სახლი**

**ე. ი. ჭავჭანიძისა**

და **ი. ი. მველესიანის**

**წვრილად გასაყიდ განყოფილებაში**

გოლოვინის პროსპექტი, სახლი ოქოევისა № 34.

**კვირაცხოვლობის კვირაში ფომინობას**

**2 აპრილიდან 7 აპრილამდე დანიშნულია დიდი ვაჭრობა, საზღაპრო იაფ-ფასად გაიყიდება მოდური სასამკაულო საქონელი:**

მზა-მზარეული თეთრეული ქალებისა და კაცებისა, ქოლგები, შეკერილი კოფთები აბრეშუმისა და კრუჟევისა, აბრეშუმის იუბკები, ჩულქეულობა, მამაკაცებისა და ბავშვების ყველანაირი ქუდები, კრახმლის პერანგები, გალსტუხები და აუარებელი სხვა ახალ-ახალი საქონელი.

ყველა საქონელს გადაკრილი უკანასკნელი ფასები ზედ აწერია. (5.537.5)

საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ **გაიხსნა** ახალ პატრონთა ხელში გადასული

**კაფე-პარიზი**

ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.

**ღია იქნება ღამის 2 საათამდე**

11—1 საათ. 1—5 ს. 5—2 ს

**საუზმე**—30 კ. **სადილი.** **ვახშამი**—30 კ.

**ყოველ დღე:** ღომი დოშით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია. მივიღეთ ახალი ბილიარდები გოცისა.** საჭმელებს სახლებშიაც ვამლევთ თვიურად, დიდის შეღავათით. (თ.—113—23)

**ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში**

**იყიდება ქართველი მწერლების მოთხრობანი:**

| | |
|---|---|
| არაგვისპირელი I . . . . | 50 კ. |
| „ II . . . . | 40 „ |
| „ III . . . . | 40 „ |
| „ შიო თავაფი . | 60 „ |
| არდაზიანი. მეჯლანუაშვილი. . | 50 „ |
| გაბაშვილისა ეკ. . . . | 1—20 „ |
| დუტუ მეგრელი II . . . | 70 „ |
| ერისთავი დ. ვისი ბრალია? | 20 „ |
| ია ეკალაძე. მოთხრობები. . | 1 |
| კლდიაშვილი დ. I . . . | 75 „ |
| „ II . . . | 75 „ |
| ლარიძე. დილარიანი. . . | 2— |
| მალაქიაშვილი. შოთა ბროლიძე. | 80 „ |
| მგალობლიშვილი. მეველე, თ-დი იერონიმე, მთიული სოსე. | 30 „ |
| მაჩხანელი. სოფლის კუნწულა | 20 „ |
| ნინოშვილი ე. . . . . | 1—50 „ |
| ფურცელაძე ა. ქიტესა . . | 15 „ |
| „ მაცი ხვიტია . | 50 „ |
| „ ასული ისრაელისა . | 30 „ |
| „ ჩვენებური საქმის ბოლო. | 20 „ |
| „ ბრძოლა... ანუ გ. სააკაძე და მისი დრო. . . | 1— |
| ფრონელი ა. მთიულეთი. . | 40 „ |
| „ კახეთის ამბოხება. | 60 „ |
| ყაზბეგი. სრული თხზულებ. | 3—50 „ |
| ყიფიანი ს. წვრილი მოთხრ. | 50 „ |
| შიუკაშვილი. განგება ღვთისა | 15 „ |
| ჩარხიშვილი. ცხოვრებ. დ სიყვ. | 40 „ |
| „ ვარინკას ამბავი . | 15 „ |
| ცაგარელი. გიორგი, მიხეილ! | 10 „ |
| წერეთელი გ. I . . . . | 60 „ |
| „ II . . . . | 60 „ |
| „ III . . . . | 70 „ |
| წერეთელი აკაკი. ჩემი თავგადას. | 1 მ. |
| ჭავჭ. ი. გლახის ნაამბობი, კაცია ადამიანი?! ოთარაანთ ქვირივი, სახრჩობელაზე, მგზავრის წერილები, ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი, უცნაურ. ამბ. | 77 „ |
| ხუსკივ. თ. თხუზულებანი . . . | 30 „ |
| „ ეკატ. ბატონიშვილი . | 5 „ |
| „ ლევან ბატონიშვილი. | 10 „ |
| ხევისუბნელი. ცხენის წურბელა | 15 „ |

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. О-во распространенія грамотности. (წ.—1141—20)

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1534—193)

**ქუთაისში**

● **ახალ ჭურჭლეულ-ავეჯეულობის მაღაზიაში** ●

**ფ. ს. ფილიპოვისა,**

ალექსანდროვ. ქ., ზ. კოკოჩევის შენობაში, ელექტრო-თეატრი „თამარის“ გვერდით.

**საზოგადოების სურვილით**

**გრძელდება იშვიათი იაფ-ფასიანი ვაჭრობა**

**აპრილის დამლევამდე.** ფასები ნაღდზედ და შეუვაჭრებლად.

პატივისცემით **ფ. ს. ფილიპოვი.**

(25.1187.2)

**ქუთაისში**

**საბურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თოქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 274)

**გამოცდილმა მასწავლებელმა**

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საზებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯ ზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памяти. Воронцову). (თ. 1084.130)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 1/2 ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**. ბა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 1/2.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606“**

(წლ.—1018—244)

**ექიმი ი. ე. თიკანაძე**

**დოქტორი მედიცინისა**

**ი. ე. თიკანაძე**

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 138)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—25).

**ექიმი** კბილისა **არჩილ** (გიორგი) ბ-ძე **დოლიძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.

რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა** № 166. (25.1179.9)

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—64)

**ექიმი ე. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mutier-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—134).

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 8—9 ს., საღამოთი, —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—69.

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5 1/2 ს. **ელისაბედის** ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პიოდაპიო. (25—1178—8)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 1/2 საათ. კახეთის ქ., №

**ექიმი პ. არდაზიანი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები), ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.85).


## ტფილისი, 6 აპრილი

**საარჩევნო სამზადისი და ძალთა განწყობილება რუსეთში.**

„რუსკოე სლოვო“-ში დაბეჭდილია მოგონებანი სტოლიპინის შესახებ. ავტორი ეხება იმ საკითხსაც, თუ როგორ უცქეროდა სტოლიპინი არჩევნებს მეორე სათათბიროში. როდესაც წერილის ავტორს ტვერსკოის უკითხავს, მთავრობა ხომ არ სცდება, გავლენა მოახდინოს არჩევნებზე, სტოლიპინს უპასუხნია: მთავრობა არჩევნებში არ ერევა, არავითარი საიდუმლო ცირკულიარები არ დაუგზავნია ადგილობრივ მოხელეთათვისაო. თუ სენატის განმარტებანი ცალ-მხრივად ეჩვენება საზოგადოებას, ამაში მთავრობას არ მიუძღვის ბრალიო. სტოლიპინის აზრით, თუ წერილის ავტორს დაუჯერებთ, ადგილობრივი ადმინისტრატორები აჰარბებენ, როდესაც არჩევნებში მონაწილეობას იღებენ და სცდილობენ ისეთი კანდიდატები გაიყვანონ, რანაირიც მათთვის სასურველიაო.

რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს განცხადება, ამის დამტკიცე-

ბა იმისთვის მიგვინდვია, ვინც სტოლიპინს ამგვარ შეხედულებას აწერს; ჩვენ კი არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივი ადმინისტრატორები, მართლაც, დიდს მონაწილეობას იღებდნენ არჩევნებში და ამა თუ იმ საშუალებით ისეთს პირობებში აყენებდნენ ამომრჩეველს, რომ იგი იძულებული ხდებოდა, თავის სინიდისის წინააღმდეგ წასულიყო და ხმა ადმინისტრაციის სასურველ კანდიდატისთვის მიეცა. შორს რომ არ წავიდეთ, ტოლმაჩევის ამბავმა ყველასათვის ნათელჰყო ეს.

ვერც იმას ვიტყვით, თითქოს ადგილობრივი ადამიანისტრატორები სრულიად დამოუკიდებელად მოქმედებდნენ. ისინი უეჭველია დირექტივებს ცენტრიდან იღებენ. ცენტრის განყოფილება კი ცხადია. ცენტრალური მთავრობა დაინტერესებულია იმით, რომ მეოთხე სათათბირო მესამესა ჰგავდეს, ე. ი. რაც შეიძლება ცოტა ილაპარაკოს პოლიტიკურ რეფორმებზე, ნაკლებ იზრუნოს მანიფესტით დაპირებულ თავისუფლებათა განხორციელებაზე და მეტი დრო მოანდომოს ისეთს კანონ-პროექტებს, რომელნიც რუ- [illegible] და განახლებას არა ჰხედავს იმის შეჩერებაში რაც ხელმწიფის ნებით კიდეც გაკეთდა.“

კოკოვცევი აქ კონსტიტუციაზე ლაპარაკობს. მართლაც, ახალი წესი იმით განსხვავდება ძველისაგან, რომ დღეს კანონმდებლობა ხალხის წარმომადგენლებს აპარია. მაგრამ მაშინ მთავრობის მიზანს უნდა შეადგენდეს განხორციელება იმ რეფორმებისა, რომლებიც საფუძვლად დაედო განახლებულ რუსეთს.

ეს საფუძველი ნათლადაა აღნიშნული 17 ოქტომბრის მანიფესტში, თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა. კრებებისა, კავშირებისა, ხელ-შეუხებლობა პიროვნებისა,—აი ის საფუძველი, რომელზედაც უნდა ემყარებოდეს განახლებული რუსეთი, თანახმად 17 ოქტომბრის მანიფესტში გამოთქმულ სურვილისა.

კოკოვცევს ყველა ამის შესახებ მოსკოვში არაფერი უთქვამს. მისის აზრით, მესამე სათათბირო იმით იყო კარგი, რომ მთავრობაზე იერიში არ მიჰქონდა. კოკოვცევს მოსწონს ასეთი სათათბირო და ღმერთს ევედრება, ნეტავი მეოთხე სათათბიროც მესამესა ჰგავდესო. ამ სიტყვებში ნათლად გამოისახა მთავრობის მეთაურის პოლიტიკური განწყობილება. მოთხოვნა დაპირებულ რეფორმათა განხორციელებისა, კოკოვცევის აზრით, სათათბიროს მოვალეობა კი არ არის, არამედ პოლიტიკური ჟინიანობა და მთავრობაზე იერიშის მიტანა.

ასეთია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის აზრი სათათბიროზე. რა თქმა უნდა, აზროვნება სათანადო მოქმედებასაც გამოიწვევს, და მთავრობაც შეეცდება შექმნას ისეთი სათათბირო, რომელიც, მსგავსად ოქტომბრისტთა პარტიისა, მხოლოდ ისეთს რეფორმებს განახორციელებს, რომელნიც თვით მთავრობისთვისაა სასურველი.

მაგრამ თვით მცხოვრებთა განწყობილება, რამდენადაც იგი პრესაში აღიბეჭდა, სულ სხვას გვიჩვენებს. ოქტომბრისტთა მოქმედებამ სათათბიროში ნათლად დაუმტკიცა მცხოვრებლებს, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი დავიწყებულია არა მარტო მთავრობის, არამედ სათათბიროს ხელმძღვანელ პარტიის მიერაც. ოქტომბრის [illegible] განგაში, დაუსრულებელი წუწუნი იმაზე, რომ რუსეთს შინაურ მტრებისაგან საფრთხე მოელის, აღარავისა სჯერა.

რუსეთი დამშვიდდა და ამით მემარჯვენეებსაც ნიადაგი ფეხიდან გამოეცალათ.

ამ რიგად, საერთო სულიერი განწყობილება რუსეთში ისეთია, რომ მეოთხე სათათბიროში პროგრესიული ელემენტი უნდა გაძლიერდეს. წინასწარმეტყველება ძნელია, მაგრამ, თუ საზოგადოების სულიერმა განწყობილებამ თავისუფალი გასავალი იპოვა, მეოთხე სათათბიროში უსათუოდ მეტი ოპოზიციონერი უნდა გავიდეს. რამდენად გამართლდება ჩვენი აზრი, ამას არჩევნების შედეგი დაგვანახვებს.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რუსეთის პროგრესიული პრესა დიდის ყურადღებით ეკიდება ირლანდიის ავტონომიის კანონ-პროექტს. გუშინ ჩვენს მკითხველს გავაცანით „რუსკ. სლოვო“-ს აზრი ირლანდიის ავტონომიის შესახებ. ეხლა მოგვყავს „რუსკ. ვედ.“-ის სიტყვები:

„29 მარტს ასკვიტმა პარლამენტში შეიტანა კანონ-პროექტი ირლანდიის ავტონომიის შესახებ ორმოცდა ათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ (1870 წ. 19 მაისი), რაც ირლანდიის წარმომადგენლებმა დუბლინში გამართულ მიტინგებზე გამოიტანეს რეზოლიუცია, რომ ირლანდიის ყველა სნეულებათა განსაკურნებლად საჭიროა დაწესება ირლანდიის განსაკუთრებულ პარლამენტისა“.

გაზეთი იგონებს იმ დროს, როდესაც ინგლისელები საშინელი მოწინააღმდეგენი იყვნენ ირლანდიის ავტონომიისა.

ავტონომიის სასარგებლოდ აგიტაცია თავდა-პირველად,—განაგრძობს გაზეთი,—მხოლოდ ირლანდიის საზოგადოების ინტელიგენტთა წრეებში სწარმოებდა. იყო დრო, როდესაც ავტონომისტებს არავითარი გავლენა არა ჰქონდათ არც ინგლისში და არც თვით ირლანდიაში.

მაგრამ თან და თან ავტონომისტების გავლენა გაზრდილა, სახელი მოუხვეჭია ირლანდიაში და შეუქმნია ისეთი ძალა, რომელსაც ინგლისის მთავრობაც უწევდა ანგარიშს. დღეს კი უკვე მთავრობაც ირლანდიის ავტონომიის მომხრეა და მალე, უეჭველია, განახორციელებს მას.

# სახელმწიფო საბჭო

დეპეშები.

**აკიმოვი თავმჯდომარეობდა.**

საბჭო შეუდგა პირველ დაწყებით განათლების კომისიის პროექტის მუხლობრივ განხილვას.

სხდომამ პირველ დაწყებით სკოლათა საკითხის განხილვას მოანდომა მთელი დრო და 9 მუხლი განიხილა.

**გრიმმა და შებეკომ** შეიტანეს წინადადება, აღვადგინოთ კომისიის მიერ გამოტოვებული მე-2 და მე-3 მუხლიო. ეს მუხლები პირველ დაწყებით სკოლებს უყურებს, როგორც საზოგადო განათლების მიმცემსა და მოითხოვს, ადგილობრივ მცხოვრებთა სარწმუნოებისა, ცხოვრებისა და ეროვნული თვისებანი მხედველობაში იქმნეს მიღებულიო. უმრავლესობამ უარჰყო წინადადება.

უარჰყვეს აგრეთვე სათათბიროს მიერ მოწონებული მუხლი, რომლის ძალითაც „სტაროობრიადცებისა“ და სექტანტთა დაკანონებულ საზოგადოებათ ნება ეძლეოდათ პირველ დაწყებით სკოლის გახსნისა. ამ მუხლის აღდგენას ტაგანცევი მოითხოვდა.

უარჰყვეს გრიმის შესწორება, რომელიც მოითხოვდა, სკოლის გახსნის ნება მიეცეთ სასარწმუნოებო საზოგადოებათაო.

მესამე მუხლი ამბობდა, პირველდაწყებითი სასწავლებლები ამ სასწავლებელთა დირექტორებისა და ინსპექტორების გამგეობაში უნდა იყოსო. ამას კიდევ დაუმატეს, დირექტორებმა და ინსპექტორებმა ხელმძღვანელობაც უნდა გაუწიონო.

მე-7 მუხლი, რომელიც სკოლის გასახსნელად ნებართვის მიღებას ეხებოდა, ცოტაოდნად შესცვალეს.

დიდი კამათი გამოიწვია მე-9 მუხლის შენიშვნამ: იმ ადგილებში, სადაც მრავალი ენა გავრცელებულია, ადგილობრივ მცხოვრებთ ნება აქვთ სამშობლო ენის სწავლისა, თუ მოისურვებენ.

**გორვატმა და იზვოლსკიმ** მოითხოვეს, სამშობლო ენის სწავლება სავალდებულოდ უნდა გადავაქციოთო.

**პიხნომ და ოფროსიმოვმა** მოითხოვეს, მუხლს დაუმატეთ, რომ მალოროსთა და ბელორუსთა ენა უცხოდ არ ითვლებაო. პიხნომ აღნიშნა, თუ ასე არ მოვიქეცით, მალოროსთა ენა სრულიად განცალკევდება და ეს კი დიდად საზარალოა რუსეთისათვისაო და შემდეგ უკრაინელების მოძრაობასთან ბრძოლა გაძნელდებაო.

**ოფროსიმოვმა** იგივე სთქვა ბელორუსების თაობაზე. პიხნოს წინააღმდეგ გაილაშქრა **ვასილევმა:** თქვენ ყურადღებას სრულიად არ აქცევთ საპედაგოგიო მოსაზრებასაო.

**დელინსჰაუზენი და შებეკო** მომხრენი იყვნენ გორვატის შესწორებისა.

კამათის გაგრძელება 6 აპრილისათვის გადაიდო.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **პანაშვიდი გ. ორბელიანის სულის მოსახსენებლად.** გუშინ, 5 აპრილს, ქართველ მგოსნის ვახტანგ ვახტანგის ძე ჯამბაკურიან-ორბელიანის დაბადებიდან ასის წლის შესრულების გამო, სიონის საკათედრო ტაძარში, სადაც დაკრძალულია განსვენებული, ნაშუადღევის პირველ საათზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. პანაშვიდი გადახდილ იქმნა წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობის თაოსნობით. პანაშვიდს დაესწრნენ: ამ ჟამად ტფილისში მყოფი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი პ. ნ. მილიუკოვი და წარმომადგენელნი პრესისა, ქართველ თავად-აზნაურობისა, ქალაქის თვითმმართველობისა და სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებისა. პანაშვიდის შემდეგ დეკანოზმა ტყემალაძემ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა.

✦ **დედათა მეოთხე გიმნაზიის შენობისთვის** ადგილის მოძებნას უკვე შეუდგნენ. განზრახულია შეიძინონ 1,000 საჟენი მიწა ვერის რაიონში. შესამე ადგილი [illegible] არჩეულია კომისია.

✦ **შემწეობა** [illegible] [illegible] 3,600 მანეთი [illegible]

✦ **კოოპერაცია.** [illegible]

✦ „განათლების“ საზოგადოება 14 მაისს მუშტაიდში სეირნობას გამართავს.

✦ „ს.-პეტერ. ვედ.“-ში დაბეჭდილია **ნ. დურნოვოს წერილი საქართველოს ეკლესიის საქმეების გამო.** წერილში ავტორი ეხება ანტონის (გიორგაძეს) ეპისკოპოსად დანიშვნას და ამბობს, იგი რენეგატი, ვოსტორგოვის თანამოაზრეაო.

✦ **ნ. ფ. დჟუნკოვსკი,** კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს წევრი, პეტერბურგიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ **გორის ეპისკოპოსი ანტონი** დღეს გორში მიემგზავრება, სადაც ადგილობრივს ტაძარში 8 აპრილს სწირავს.

✦ **ი. ვ. მალინოვსკი,** სამრევლო სკოლების მეთვალყურე, სიღნაღ გაემგზავრა სკოლების დასათვალიერებლად.

✦ **მეთორნეთა** წარმომადგენლებმა გუბერნატორს თხოვნა მიართვეს. თხოულობენ, პურის ნიხრის მომატებას.

✦ **ხილეულობის გამოფენა.** ნება დართულ იქმნა, გამართულ იქმნას 1913 წელს ტფილისში ხილეულობის გამოფენა-იარმუკა, რომლის მომწყობ კომიტეტშიც არჩეულ იქმნენ: ს. ს. ხეთაგური, ს. თ. ხუნდაძე, პ. გ. მელია, ძმანი ავსარქისოვები, ვ. ი. რცხილაძე, ე. ო. იოსელიანი და ი. თ. იუზბაშევი.

✦ როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ ერთ-ერთი მდიდარი ფრანგის ამხანაგობა აპირებს, **ჭიათურაში** გახსნას ქარხან-აფერუმ მარგანეცის მოსამზადებლად. აქამდე ასეთი ქარხანა ჯერ არა ყოფილა ჩვენში.

✦ „სორაპნის“ ამხანაგობას განუზრახავს გამოსცეს **ი. გრიშაშვილის** სრული ლექსთა კრებული. წიგნი იქნება დიდი ზომისა, დაიბეჭდება კარგ ქაღალდზე. წიგნზე ხელის მოწერა გამოცხადდება.

✦ როგორც გავიგეთ, ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი მირზა—ჯამალოვი თათრულ ენაზე სთარგმნის **იოსებ გედევანიშვილის პიესას „გამცემს“.**

✦ **კომერციული ინსტიტუტის** სტუდენტთა [illegible] 17 მარტს [illegible]

✦ **ხორცის ნიხრი.** გუბერნატორმა ქალაქის მოურავს წინადადება მისცა, [illegible] 80 კაპ. [illegible]

✦ **თავის მოკვლის განზრახვით** 4 აპრილს საწამლავი დალია ვერის დაღმართზე მცხოვრებმა როზალია ალექსანდრეს ასულმა რუბენშტეინმა, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გაჰხზავნეს.

✦ **ინგლისელი კაპიტალისტები** მაისის შუა რიცხვებში ტფილისს ესტუმრებიან. მათ აზრად აქვთ, მოლაპარაკება გამართონ კავკასიის ქალაქებთან და სხვა და სხვა სამუნიციპალო დაწესებულების აგება და მოწყობა იკისრონ.

✦ **ს. ხაშმი.** ვიღაც უცნობებმა წმ. გიორგის ეკლესია გაძარცვეს. წაიღეს მთელი ნივთეულობა.

✦ 4 აპრილს ტფილისში შეიპყრეს არშაკ ანტონის ძე სარდაროვი, რომელიც ჯარში იყო წასული და 1905 წელს პოლკიდან გამოიპარა.

✦ 4 აპრილს ტფილისში 28 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **შინა მრეწველობის კომიტეტის** კრება 9 აპრილს მოხდება ნამესტნიკის კანცელარიის შენობაში.

✦ **ქალაქის ნაბჭოს სასკოლო კომისიის** მორიგი კრება 7 აპრილს მოხდება. განსხილველი საგნებია: 1) სამუნიციპალო სასკოლო მუზეუმის დაარსება, 2) მოხსენება ქალაქის სასწავლებელთათვის საჭირო მიწების დათვალიერების შესახებ, 3) სასკოლო კომისიის მომავალ მოქმედების პროგრამა და სხ..

## სასამართლო

✦ **თავ. უჩა დადიანის საქმეს** ტფ. სამოსამართლო პალატის სესია კავკავში გაარჩევს 21 ივნისს.

✦ **მილიონერ ტაგიევის საქმის გამო** ტფილისში ჩამოვიდნენ ბაქოს ოლქის სასამართლოს თავჯდომარე მ. ი. კუდრიავცევი და ბრალმდებელი ედლიჩკო.

## ქუთაისი

✦ ორშაბათს, 2 აპრილს, არ შესდგა ქალაქის **საბჭოს კრება** ხმოსანთა კანონიერ რიცხვის გამოუცხადებლობის გამო.

✦ თ-დი ილია მელიქიშვილის მაგივრად **წმ. ნინოს სასწავლებლის**

# ჩვენი ბელეტრისტები·

## მოთხრობები დუტუ მეგრელისა.

(დასასრული*)

„სემინარიელ“ ახალგაზდა მღვდელზე ავტორი თითონაც არაფერს ამბობს და მასაც არაფერს ალაპარაკებს, გარდა ერთის ფრაზისა: „ვისაც გნებავთ, რატომ არ მობრძანდებით ჯვრის სამთხვევლად; მაგრამ მისი სახე მაინც გამოქანდაკებულივით სდგას ჩვენს თვალწინ. სოფლის აზნაურთა ქალების და კნეინა სალომეს ბრაზი და დაცინვა ცხადად მეტყველობენ ახალ მღვდლის—„ყაზახის შვილის“—უტყუარ ღირსებაზე. ეტყობა, რომ ეს ახალგაზდა მღვდელი ცხოვრებისაგან გაურყვნელია, რომ მას დროშა სულიერი მოძღვრისა მაღლა უჭირავს და კნეინა სალომეებს და სხვათა „მძლავრთა ამა სოფლისათა“ მას არ გაათელვინებს. ის სარწმუნოების სფეროში არ ხელმძღვანელობს უმცროს-უფროსობით, სიმდიდრე-სიღარიბით ან რაიმე სხვა ქვეყნიურ მოსაზრებით, ის თუმცა „ყაზახის“ შვილია, მაგრამ ისე განთავისუფლებულა ძველებურ ბატონ-ყმობის სულიერ განწყობილებისაგან და ისტორიულ მძლავრად ჩანერგილ მონურ გრძნობისგან, ისე გაუნათლებია გრძნობა-გონება თანამედროვე მსოფლ-მხედველობით და მეცნიერებით, რომ ვერც კი წარმოუდგენია ეფრემისებური მღვდელმსახურება და მძლავრთა წინაშე ასე სამარცხვინოდ თავის დამდაბლება და იმ დიდ საქმის დამცირება, რომლის წარმომადგენელად ის ემზადება

ყველა ამის შესახებ, რაც ჩვენ აქ ვსთქვით, არც ავტორი და არც თვით მოძღვარი არაფერს ამბობენ, მაგრამ თვით ცოცხლად დახატული სახე მღვდლისა ამას ჩვენ გვათქმევინებს. ამაშია სიძლიერე ხელოვნურ ნაწარმოებისა! ამას ჰქვიან ნამდვილი, იდეალურად შექმნილი ტიპი! თუ სხვაგან ჩვენი მწერალი ტიპების დახასიათებაში აჭარბებს, საღებავებს უზომოდ ხმარობს, უადგილოდ მსჯელობს და გმირსაც უხერხულად ალაპარაკებს, აქ, ამ პატარა მოთხრობაში, მღვდელი დასურათებულია შესანიშნავის, ჩვენს ლიტერატურაში თითქმის უმაგალითო, მხატვრულის ზომიერებით: მწერალმა ორიოდე მოსმული ხაზით მსოფლ-მხედველობის თითქმის მთელი ცვლილება დაგვიყენა თვალწინ, ახალი დროის და ფსიხოლოგიის ადამიანთა გულში და სულში თამამად ჩაგვახედა.

ჩვენში იყვნენ და არიან ასეთი ტიპები წყნარად და შეგნებულად მომქმედნი მოძღვრებისა. პირველ ხანებში ჩვენი ნასწავლი მღვდლები, მიუხედავად იმისა, რომ შესაფერად არ არიან მომზადებულნი სამოქმედოდ და სულიერი სისაღეც შესამჩნევად დაუკარგავთ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, მაინც მომეტებულს შემთხვევაში პირნათლად ემსახურებიან თვის საქმეს და მრევლის ინტერესს. მერე და მერე კი ბევრი მათგანი, ჩვენივე ცხოვრების მოუწყობლობის და დამახინჯების მიზეზით და გარეგან ძალთა ზედ-გავლენით, ხშირად უხვევენ სწორ გზას, პირად ინტერესების მორევში ინთქვებიან და ყოველივე ძალის წინ თავს იხრიან. ზოგიერთი კი ცხოვრების აბობოქრებულ ზღვაში შეუპოვრად მიაღწევს ტალღებს,—ბევრს შემთხვევაში უჩინარად,—მოძღვრის სინიდისს და მოქალაქის მოვალეობას არ ჰყიდის არც ქანქარზე და არც რამე წახალისებაზე. ეს ელემენტი საუკეთესო და საიმედო ელემენტია „ახალ ქართლის“ ცხოვრებაში! ასეთი მღვდლების ოჯახი ნამდვილი და გაურყვნელი ოჯახია ჩვენში; ასეთს ოჯახებში გაზდილა არა ერთი და ორი ნიჭიერი და შეგნებული საზოგადო მოღვაწე.

კარგად არის დაწერილი დ. მეგრელის მოთხრობა „ნატოს ცრემლები“. ცოცხალის საღებავით არიან დასურათებულნი მასში გამოყვანილნი გმირები: არც გადაჭარბება, არც მსჯელობა-პუბლიცისტიკა, არც კონტრასტები, არც ქადაგება არ ასუსტებს მოთხრობის მხატვრულ მხარეს.

თავადი ლევან გაღმობელი (მოთხრობის გმირი) თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებს მოთხრობაში არც სიტყვით, არც საქმით, მაგრამ მაინც ისე ცოცხლად და რეალურად არის დახასიათებული, რომ ცხადად თვალწინ გიდგათ. თითონ ხედავს რომ ფუფუნება-სიმდიდრეში და პატივცემაში დაბადებული და აღზრდილი თავადი ლევანი განაგრძობს ფართე, ხელგაშლილ, ძველებურ უხვ ქართველურ დაუდევარ ცხოვრებას. მისი ოჯახის კარები ყველასთვის ღია არის. მთელ ზემო იმერეთში ის განთქმულია პურ-მარილით. მისი მშვენიერ ცაცხვის ქვეშ ხშირად იმართება მდიდარი სადილი... მას ხშირად ეწვევიან. სტუმრად დიდი გვარის ქართველი თავადის შვილებიც. სიცოცხლე სდუღს, განუწყვეტელი ქეიფი და დროს გატარებაა ლევანის ოჯახში. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ შეუწყვეტელი დროს გატარება, მუდამ ლხინი და თავის შექცევა შეუმჩნევლად ჯიბესაც აცალიერებს. შეუწყვეტელი და უანგარიშო ქეიფი და წვეულობას აბა რა ჯიბე და რა მამული გაუძლებს?!

თავად ლევანის მამულის შემოსავალმა ვერ გაუძლო ამდენს ხარჯს და ის თან და თან ვალის აღებას შეუდგა. მოთხრობაში აწერილია ერთი შემთხვევა, მიადგა თავადს ერთი რაჭველი „აღმასრულებელ ფურცლით“ სასამართლოს მოხელესთან ერთად სწორედ იმ დროს, როდესაც ცაცხვის ქვეშ სუფრას შლიდნენ და პატივსაცემ ქართველ თავადისშვილს უმასპინძლდებოდნენ. მოვალე რაჭველი აძალებს სარდიონს (მოხელეს) დაუყოვნებლივ ასწეროს „სუფრაზე რაც ძვირფასი ოქრო და და ვერცხლია“ „...ის ასწერე მხოლოდ და მე მეტი არ მინდა“-ო. „—რას ამბობ, კაცო, დღეს როგორ უნდა ავწერო რამე? „—არ ასწერდა ეხლავე დეპეშას დაუკრავ სასამართლოს, რომ შენს მოვალეობას არ ასრულებ“...

წარმოიდგინეთ მართლაც სანდროს მდგომარეობა, რა ორ ცეცხლშუა მოემწყვდა! როგორც ქართველ კაცს. თავადი ლევანის პატივისმცემელს და მისი მუდლე ნატოს, მადლერთებელს,—ქართველ კაცს, რომლისათვის არა ერთხელ პატივი უციათ ამ ოჯახში და რომელიც ღრმად გრძნობს: თუ რა სირცხვილში ჩავარდება ცნობილი, გამოჩენილი და ყველასათვის სასიამოვნო თავადი ლევანი დღეს, რომ რამე აუწეროს—სარდიონს, რაც გინდ მოუვიდეს, არ შეუძლიან შეურაცხოფა მიაყენოს მასპინძლებს და შეარცხვინოს უცხო თავადიშვილთან. მაგრამ, როგორც მოხელე, ის დარწმუნებულია, რომ უკანონობას სჩადის, როცა მოვალის კანონიერ წინადადებას არ ასრულებს და ამისათვის მართლაც სამსახურს დაჰკარგავს და ცოლშვილი მშიერი დაურჩება.

ბუნებრივად და ლამაზად აწერილი აქვს დ. მეგრელს სულიერი მდგომარეობა, უკეთ რომ ვსთქვათ, ტრაღიზმი სარდიონისა.

ის ნამდვილ ტანჯვას განიცდის არა მხოლოდ იმისთვის, რომ თითონ უხერხულ და სახიფათო მდგომარეობაშია ჩაყენებული, არამედ მომეტებულად იმისთვის, რომ მას სწვავს „ნატოს ცრემლები“ (ლევანის მეუღლის), რომლებიც წვიმასავით ეცემოდნენ მის გულს და სწვამდნენ, ჯოჯოხეთურის ალით სდაგავდნენ. „—მოვკლავ იმ არამზადას, თუ საჭირო იქმნა, და ნატოს კი მოვსწმენდ ამ ცრემლებს“, გადასწყვიტა სარდიონმა და ხელ-ახლად დაუწყო ხვეწნა-მუდარა პარმენს (მოვალე). როგორც იყო დაიყოლია ის, მხოლოდ იმ პირობით, რომ უნდა მიეცა სარდიონს თავის მხრივ მისთვის ექვსასი მანეთის თამასუქი. მისცა კიდეც და მით გადაარჩინა თავადი ლევანი დ მისი ცოლი საჯარო შეურაცხყოფას, თავისი თავიც ძლიერ უხერხულ და მწვავე მდგომარეობიდან გამოიყვანა.

ჩვენ გვესმის ტანჯვა სარდიონისა, არ გვაკვირვებს მისი საქციელიც. ქართველი კაცი, თუ კი მას ცოტათი შერჩენია ძველებური ქართული ადათი და შეხედულება, რაც გინდ დაემართოს, სამსახურიდანაც რომ დაითხოვონ, ვერ ჩაიდენს ისეთს საქმეს, ფორმალურად მოვალეც რომ იყოს, რაც ქართველურ ზნე-ჩვეულებას, პურ-მარილს, ტკბილ მეგობრობას, ქართველურ ოჯახობას შელახავს. ამისათვისაა, რომ ჩვენ თანაუგრძნობთ სარდიონს, გვესმის მისი ტანჯვა. სარდიონი, როგორც ქართველი, გრძნობს, რომ შეუსაბამო და სახიფათო თავდებობა აქვს. აი რას ამბობს თითონ: „...ვერაფერი შვილი თანამდებობა მაქვს, მაგრამ რა ვქნა? ნათქვამია, გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. როცა კაცი ცოლ-შვილით დატვირთული ხარ, საიმისო შეძლება არა გაქვს და ხელიდან „რაპორტების“ წერის მეტი არაფერი არ გამოგივა, რასაც მოგცემენ, უნდა დასჯერდე... მე, სემინარიიდან გამორიცხული, ბედნიერად უნდა ვთვლიდე თავს, რომ ამისთანა ადგილიც ვიპოვე. ვთვლი კიდეც, თუმცა ვინ იცის, რამდენნაირი უსიამოვნება არ შემხვდება ხოლმე სამსახურის ასრულების დროს. ლანძღვა-გინებასა და წყევლა-კრულვას ვიღა ჩივის, ბევრჯერ ბეწვზე ჰკიდია თვით ჩემი სიცოცხლე. ვინ იცის, რამდენჯერ ვყოფილვარ საშინელს მდგომარეობაში... დიახ, ბევრჯერ დამდგომია ცუდი დღე. ბევრჯერ გადმომდენია სიმწრის ოფლი“ (გვ. 226) ასეთი ქართველი მოხელენი, რომელთაც კიდევ შერჩენიათ ქართული ელფერი და საბოლოოდ არ მიუფურთხებიათ ქართულ ტრადიციებზე, კიდევ მოიპოვებიან ჩვენში. ჩვენც შეგხვედრია ასეთი მოხელენი. და ალბად—თქვენც, პატივცემულო მკითხველო!

შეიძლება იკითხოთ: იმ დროს, როდესაც ნატო ცრემლებსა ღვრიდა, სარდიონი იტანჯებოდა, რომ რამე ლონისძიებით აეცდინათ შეურაცყოფა და სირცხვილი, სად ბრძანდებოდა თვით თავადი ლევანი, რას გრძნობდა, რას აკეთებდა? ის გართული იყო ბანქოს თამაშში „უცხო სტუმართან“ და სხვა ადგილობრივ მებანქოებთან. როდესაც სარდიონმა უთხრა ლევანს: ცოტა საქმე მაქვს და ერთს წამს გამომყევიო, თავადმა

*) იხილე „სახალხო გაზეთი“ № 564.

საქმის მწარმოებლად დაინიშნა საგლეხო საკრებულოს წევრი ან. ბიბიკოვი. თ-დმა მელიქიშვილმა, როგორც ირკვევა, თავის თანამდებობაზე უარი სთქვა წმ. ნინოს სასწავლებელში მომხდარ ინციდენტის გამო ამ უკანასკნელ ხანებში.

✦ მაისში დანიშნულია საქმე **თ-დ დ. ნიჟარაძისა**, რომელსაც საგლეხო საკრებულოს წევრი ბიბიკოვი ბრალსა სდებს გაზეთში წერილით ცილსა მწამებსო.

✦ ის ხმები, ვითომც **თ-დ ფარსადან მიქელაძე** უარს ამბობდეს ოზურგეთის მაზრის თანამდებობაზე, სიმართლეს მოკლებული აღმოჩნდა. როგორც შევიტყვეთ, თ-დ მიქელაძეს მცირე ხანში მოელიან ქუთაისში, სადაც იგი თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგებაო.

✦ როგორც გავიგეთ, ქუთაისის **სააღგილ-მამულო ბანკზე დარჩენილი მამულები** ტფილისსა და ბათუმში უკანასკნელ ხანებში კარგად იყიდება თურმე. მიმდინარე წლის განმავლობაში გაყიდულა 250 ათასი მანეთის მამული და იმედი აქვთ, რომ კიდევ გაიყიდებაო.

✦ მთავრობას ნება არ დაურთავს ბ-ნ დ. მესხისთვის გაზეთის გამოცემა მის რედაქტორობით ქუთაისში.

### ბათომი

✦ 31 მარტს, საღამოს მოხდა სხდომა **ბათუმის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ჩაის სექციისა.** სხდომამ განიხილა ჩაის სამართველოს შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ 1913 წლისთვის. შემოსავალი უდრის წელიწადში—30,300 მანეთს, გასავალი—27,880 მ.

✦ მარტის განმავლობაში ქალაქში **გარდაიცვალა** სულ 37 კაცი, მათ შორის, 19 მამაკაცი, 2 დედაკაცი და 16 ბავშვი.

### სიღნაღი

✦ **მკვლელობა.** კარდანახის ბოლოში სოფლის ყარაული ნიკოლოზ ბეზარაშვილი მოჰკლეს. მკვლელი ვერ აღმოაჩინეს.

— სოფელ ვაქირის ახლოს ვიღაც უცნობმა თოფით მოჰკლა გიო და თომა ჯანაშვილები.

**შეცდომის გასწ.** გუშინდელ ნომერში დაბეჭდილ წერილში "გორის ავკარგი" შეცდომითაა დაბეჭდილი: ეს იმას მაჩვენებელია, რომ გძელი, კარჩაკეტილი ცხორება. **უდნა იყოს ძველი და სხვა.**

## ზელიმხანის გარშემო

როგორც მკითხველებს თავის დროზე ვაცნობეთ, 19 თებერვალს გამოჩენილს ყაჩაღს ზელიმხანს ხორაჩოის მთებში, გამოქვაბულში, მიაგნეს და ალყა შემოარტყეს. ყაჩაღმა ჯარს სროლა აუტეხა, რამდენიმე ჯარის კაცი მოჰკლა და გამოქვაბულიდან ისე უკვალოდ გაჰქრა, რომ ეხლაც ვერ აუხსნიათ, როგორ მოახერხა ზელიმხანმა გაქცევა.

კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის მთავარსარდალმა ეს საქმე განიხილა და განკარგულება მოახდინა: იმ პირს, რომელსაც ზელიმხანის ბინა (გამოქვაბულში) უჩვენა ჯარს, ჯილდოდ მიეცეს დაპირებული ოთხასი თუმანი, ხოლო დახოცილ ჯარის კაცთა ოჯახობას-ას-ასი თუმანი. დაჭრილ ჯარის კაცთ კი თითოს 500 მანეთი უნდა მიეცეს. ეს ფული შეადგენს სულ შვიდას ორმოც და ათ თუმანს და გაღებულ უნდა იქმნას იმ 150,000 მანეთიდან, რომელიც ზელიმხანის შენახვა-დაფარვისათვის ჩაჩნებს ჯარიმის სახით გადაახდევინეს.

## სურამ-ხაშურის პროგიმნაზიების ურთიერთობა და აწინდელი მდგომარეობა.

აგერ მეოთხე წელიწადი სრულდება მასუკან, რაც ზოგიერთ ადგილობრივ პირთა მეცადინეობით სურამში კერძო სასწავლებელი დაარსდა.

პირველ სამი წლის განმავლობაში სასწავლებელი თავის დანიშნულებას მუყაითად ემსახურებოდა და ადგილობრივ საზოგადოების სიმპატიაც დაიმსახურა, მაგრამ ამ უკანასკნელ წლის სკოლის თავ-გადასავალმა სასწავლებელი დაკეტვის პირს მიაყენა.

სკოლის ასეთი დაქვეითების მიზეზი ერთის მხრით ხაშურის სკოლის მეთაურები არიან, მეორე მხრით კი ის ახალგაზრდა ინტელიგენტები, რომლებმაც სოფლად მოუმზადებლობა და საზოგადოებრივი ძარღვის სრული უქონლობა გამოიჩინეს.

საჭიროა დღეს ყველა ეს მიზეზები გამოაშკარავდეს, რათა სკოლის დაკეტვით მისი მეთაურნი თავიანთ თავს ზნეობრივ ვალდებულად სთვლიან პასუხი გასცენ როგორც მოსწავლე ახალგაზრდობას, რომლებიც სკოლის გარეშე რჩებიან, ისე მათ მშობლებს და ყველა იმ გარეშე თანაგრძნობელ ინტელიგენტებს, რომლებსაც სურამის სკოლის დაარსებაზე დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვით.

როდესაც სურამის სკოლის მეთაურებმა სამეურნეო სასწავლებლის დაარსება განიზრახეს და ხაშურის საზოგადოებას დახმარებისთვის მიჰმართეს, მათ თავიანთ წარმომადგენლების 30 კაცის სიტყვით გულწრფელი დახმარება აღუთქვეს და კიდეც თანხმობის ნიშნად ხსენებულმა წარმომადგენლებმა უკვე შემუშავებულ თავისუფალ შემომწირველთა ფულის სიაში ხელიც მოაწერეს. (1908 წ. თიბათვის 20-ის ოქმი).

ხაშურის საზოგადოების ამგვარ თანაგრძნობით გამხნევებული სკოლის მეთაურნი უფრო მუყაითად შეუდგენ მუშაობას და ორი თვის განმავლობაში ისე მოაწყეს საქმე, რომ ოც მარიობისთვეს სასწავლებელი უკვე მზად იყო; მაგრამ, როდესაც სკოლის მეთაურნი ხელ-მეორედ ხაშურის საზოგადოებას შეეხმაურნენ, აქ მან შემდეგი განსაცვიფრებელი პასუხი მისცა: „ჩვენ იმ პირობით აღმოგიჩენთ დახმარებას, თუ რომ სასწავლებელს ბინა ხაშურში ექნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ჩვენთვის დავიარსებთ სასწავლებელს“; ამის პასუხად სკოლის მეთაურებმა მიუგეს: „რადგან ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ერთი სოფლის საზოგადოება სასწავლებელს ვერ შეინახავს და ჩვენ ამ მხრით დიდ შეცდომაში შევდივართ, რომ ერთმანეთს ვშორდებით, ამიტომ თქვენი წინადადების გასარჩევად მოვიწვიოთ ტფილისიდან სპეციალისტი პედაგოგები: სადაც მათ გვირჩიონ სასწავლებლის დაარსება, ჩვენც ის ადგილი ამოვირჩიოთ“. (1908 წ. 25 მარიობისთვის ოქმი) ხაშურის საზოგადოებამ სკოლის მეთაურების ასეთი კანონიერი წინადადება დაუსაბუთებლად უარჰყო და თავისთვის სკოლის დაარსებას შეუდგა.

ხაშურის საზოგადოების ასეთი მოქმედება პირველი ნიშანი იყო დაწყებულ საქმის უსაფუძვლობისა, რისთვისაც სკოლის მეთაურებმა მაშინვე აშენებულ საქმის ჩაშლა მოინდომეს, მაგრამ ეს მოუხერხებელი გამოდგა, რადგან პირობები დაუყონებლივ საქმის გაგრძელებას თხოულობდნენ; მეტი ჯანი არ იყო, ერთიან ძალის დაქუცმაცების გამო, სამეურნეო სასწავლებლის მაგიერ, რადგან იგი უფრო მეტ ხარჯს თხოულობდა, მეთაურნი იძულებული შეიქნენ პროგიმნაზიული ტიპის სასწავლებელი გაეხსნათ.

ამ რიგად სურამის სკოლის მეთაურობის განზრახული იდეა—ამ კუთხის ღარიბ მცხოვრებთათვის ერთი რიგიან სამეურნეო სასწავლებლის შექმნა, ხაშურის საზოგადოების ღალატმა ორ უხეირო პროგიმნაზიულ სასწავლებლად გარდაჰქმნა და ასე მოულოდნელად ორმა ერთი ერთმანეთზე სამ ვერსის მანძილზე მდებარე, სოფელმა ორი სასწავლებელი დაარსეს.

1908 წლიდან ორთავე სასწავლებელში სწავლა გაჩაღდა; სურამის სასწავლებელში ამ წლის პირველ თვეში ასამდის მოსწავლე ირიცხებოდა, მხოლოდ ერთი თვის შემდეგ კი 80 მოსწავლე რჩება. ეტყობა, მოსწავლეთა რიცხვი თან და თან მცირდებოდა; მერე რა იყო ამის მიზეზი? სკოლის მეთაურნი ამის მიზეზის გამოკვლევას დიდხანს არ მოსდომნიან, ცოტა ხნის შემდეგ, როგორც სურამში ისე მის ახლო მახლო სოფლებში, გავარდა ხმები რომ „სურამის სკოლა დაიკეტაო“. ამგვარ ხმებს არა ერთხელ დაეფეთებინა მოსწავლე ბავშვების მშობლები და თავგადაგლეჯილები ჩამოერბინევინებინათ სურამში სკოლის ამბის გასაგებად: პირველ ხანებში სკოლის მეთაურნი, რასაკვირველია თავიანთ თავს ნებას არ მისცემდენ ამგვარ ხმების გავრცელებაში ხაშურის სკოლის მეთაურებზე ეჭვი მიეტანათ, მხოლოდ ფაქტი ფაქტად რჩებოდა, ესეთი ხმები ერთხელ რომ მიყუჩდებოდა, კვლავ ისევ თავს აპოჰყოფდა. ბოლოს სურამის სკოლის მეთაურების არა სასურველად გამოირკვა, რომ ამგვარ ხმების გამძავრცელებელი მხოლოდ ხაშურის საზოგადოების სკოლის მეთაურნი ყოფილან.

მიუხედავად გავრცელებულ ხმებისა, სურამის სკოლის გამგის ბ. ქვლივიძის მეცადინეობით, სკოლის მდგომარეობა თანდათან უკეთესდებოდა. მეორე სამოსწავლო წლიდან პირველი პროგიმნაზიული კლასი მოუმატეს, სასწავლებელს ზოგიერთი მუდმივი საარსებო წყარო აღმოუჩინეს და სხვა; მხოლოდ უბედურება ის იყო, რომ ხაშურის საზოგადოება სურამის სკოლის საწინააღმდეგო პოლიტიკას თავს არ ანებებდა; იგი 1909 წ. გიორგობისთვის პირველ რიცხვებში გზავნის სამ დეპუტატს სურამის სკოლის გამგე ბ. ქვლივიძესთან და სთხოვს სურამის სკოლის გამგეობას თავი მიანებოს და გადავიდეს ამავე ადგილზე ჯამაგირის მომატებით მათ სასწავლებელში. აქ ბ. ქვლივიძემ პატიოსნური მოქალაქეობრივობა გამოიჩინა და ხაშურის სკოლის მმართველებს ხსენებულ წინადადებაზე უარი განუცხადა და უფრო გულ-მოდგინედ შეუდგა სკოლის მოწყობას (1909 წ. გიორგობისთვის 5-ის ოქმი). ამავე სამოსწავლო წელს იანვარში ხაშურის სკოლის სამზრუნველო საბჭოს თავმჯდომარე, გაკვეთილების დროს, მოდის სასწავლებელში და მასწავლებელს ქ. ა. ი. ხიდრიბეგიშვილის ქალს სთხოვს იკისროს ხაშურის სკოლის მასწავლებლობა ჯამაგირის მომატებით. ქ. ა. ი. ხიდრიბეგიშვილის ქალმა უხერხულად სცნო სასწავლებლის ამ დროს თავის დანებება და ბ. თავმჯდომარის წინადადებაზე უარი განაცხადა, მხოლოდ ეს კი იყო, რომ ამის შემდეგ ადგილობრივ სკოლის მეთაურნი იძულებული შეიქმნენ ქ. ხიდრიბეგიშვილის ქალისთვის ჯამაგირი მიემატებინათ. (1910 წ. იანვრის 20-ის ოქმი).

(დასასრული იქნება)

**გ. მოუხვენარიძე.**

## გ ზ ი დ ა ნ.

თათბირი იმაზე, თუ დღესასწაულებს საითკენ გავქცეოდით. — წეს-რიგი ჩვენებურ რკინის გზაზე.—ნახული და გაგონილი ბათომში და ქუთაისში.

**(გ ა კ ვ რ ი თ).**

ნეტავი იმას, ვისაცა სწამს და გულდამშვიდებით შეუძლიან შეჰხვდეს ბრწყინვალე დღესასწაულებს დიდ ქალაქებში, თვისი წინასწარი „სამზადისით“; ვისაც აღუშფოთებლად შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს, ჯერ პასკა-კულიჩ-კვერცხების და გოჭ-ინდაურ-ბატკნების შესაძენად ატეხილ „ომიანობაში“ და შემდეგ, ეგრედ წოდებულ, ვიზიტებში,—თაღლით-გაცვეთილ სიტყვებით, ქათინაურებით და გამომზეურებულ ტანისამოსებში მანჭვა-გრეხით... მე კი, გამოცხადდა თუარა ეს მეორე ჯურის სამხედრო წესები...უკაცრავად, დადგა თუ არა ვნების კვირა, საშინელ მოუსვენრობასა ვგრძნობდი და „გასაფრენად მომზადებულ ყვავივით, ხელის აქნევას-ღა ველოდი“. ძალიან მწადდა სადმე მიყრუებულ სოფელში, ახლად აბიბინებულ ბუნების კალთაზე ცოტა ხნითაც არის მიმედო ქალაქის აბობოქრებულ ცხოვრებით გაბრუებულ-გაბოროტებული თავი და დავიწყებას მივსცემოდი. მაგრამ, ამასთანავე, არც თუ სულ მარტოს მეხალისებოდა წასვლა და თანამგზავრებს ვეძებდი, წინადვე დარწმუნებული, რომ ტფილისში არა მცირედი რიცხვი იქნებოდა, რომლებიც ჩემსავით მოწადინებულნი იქნებოდნენ „ქალაქურ“ ბრწყინვალე დღესასწაულისთვის თავი დაეღწიათ...

არც მოვსტყუვდი: შესდგა ჯგუფი თანამგზავრთა და ხალისით შეუდექით მომავალ მგზავრობის გეგმის შედგენას.

ერთმა სურვილი გამოსთქვა გავამგზავრებულიყავით გორის მაზრის ერთ მიყრუებულ სოფელში, რომ აღდგომის ღამეს წავსულიყავით, მუხნარით დაჩრდილულ-დახავსებულ და შინ ჩამოქნილ ყვითელ სანთლებით გაშუქებულ ეკკლესიის ლიტონიაზე, გავთქვეფილიყავით გულ-უპრყვილო მლოცველთა შორის, მოგვესმინა ღრმად-მოხუცებულ, მორწმუნე მოძღვრის სასოების მომგვრელი ლოცვა-ვედრება და მით დროებით მაინც გამოგვეწვია ძვირფას ბავშვობის უდარდელი და ბედნიერი წუთები, მაგრამ უმრავლესობამ ეს არ მოიწადინა.

ზოგმა მოისურვა კახეთში წასვლა და ახალ გაზაფხულზე ალაზნის ველის მომჯადოებელ. სურათის ხილვა, მაგრამ როცა შევიტყვეთ თელავში მოსიარულე დილიჟანების ამბავი, ბევრი ჩვენგანი დაფრთხა და ბოლოს ისევ გადავწყვიტეთ მატარებლით დასავლეთ საქართველოსკენ წავსულიყავით.

წითელ პარასკევს, საღამოთი, გაველით სადგურზე; მატარებლის გასვლამდე თუმცა ნახევარ საათზე მეტი იყო დარჩენილი, მაგრამ ელდა გვეცა, როცა დავინახეთ, რომ ბილეთების ამღებთა კუდი სადგურის შესავალთან თავდებოდა. როგორც იყო აღვიჭურვეთ ბილეთებით და პირველ ზარის შემდეგ, რისვაივაგლახით და წივილ-კივილით დაგვტიეს ამოდინა ზღვა ხალხი ბაქანზე გასასვლელ კარებთან. ამის შემდეგ ჩვენს ერთ თანამგზავრს ღასჩემდა გამოჩენა [illegible] კი მოვახერხეთ, რომ თანამგზავრები მოვექეცით ერთ ვაგონში, მაგრამ შიგ ისეთი წყვდიადი იყო, რომ ეშმაკიც კისერს მოიტეხდა. ახლა არ იკითხავთ—რა ჯოჯოხეთური აყალმაყალი იდგა შიგ.

— „კონდუქტორ, ეს რა სისაძაგლეა, რატომ აქაურობას არ გაანათებთ“—იძახდა არა ერთი კაცი.

— „ნელა ადამიანო, ნელა, ბავშვი ნუ გამიჭყლიტეთ“; მოისმოდა მეორე ადგილიდან.

— „ნასილსჩიკ“, თუ ღმერთი გრწამს შლიაპის კარდონი მაღლა დაიჭირე“,—მოისმოდა ქალის ხმა;

— „ნეტამც ფეხი მომტეხოდა და სახლიდგან ფეხი არ გამომედგა,“—ჩიოდა მეოთხე.

— „ბატონო, სადღა მოდიხართ, ხომ ატყობთ, რომ გასანძრევი ადგილიც აღარ არის?!“ ჯავრობდა მეხუთე. ღმერთმა უშველოს კიდევ ერთ გამოცდილ, თავდარიგიან მგზავრს სანთელი აღმოაჩნდა; მან საქველმოქმედო მიზნით ვაგონის წყვდიადი ოდნავ გაჰფანტა და ვაგონში გამეფებული აურ-ზაური, ცოტა არ იყოს მიყუჩდა.

(დასასრული იქნება)

**გ. ახალციხელი.**

## ქიზიყის ჭირ-ვარამი

აპრილში ქიზიყის სამს სოფლის საზოგადოებას (ტიბაანისას, ჯუგაანისას და საქობოსას) სახელმწიფო ბანკში,—რომლის საშუალებითაც რის ვაი ვაგლახით შეისყიდეს თ. დ. ჩოლოყაშვილისეული, ალაზან გაღმა მდებარე, ეგრედ წოდებული „ქიაურის“ მამული, თავის ტყიანად,—შესატანი აქვთ აუცილებელი სავალო გადასახადი, მაგალითად ჯუგაანის სოფლის საზოგადოებას დაახლოვებით ათას რვაასი მანეთი. უკეთუ ეს სოფლის საზოგადოებანი ეხლაც არ შეიტანენ ამ გადაწყვეტილ შესატან გამოსასყიდს ფულს თავისის სარგებლით, წესდების ძალით ბანკი იმ მამულის საჯარო ვაჭრობას დანიშნავს, ვინაიდან ამ სამ სოფლის საზოგადოებას ერთი სხვა სავალო გადასახადიც არ შეუტანია, სახელდობრ წარსულის წლის ოქტომბრისა... ამ რიგად თუ საქმე საჯარო-ვაჭრობამდის მივიდა, ქიზიყელებს ეს მამული ხელიდან გამოეცლებათ.

ფულის შოვნა და შეტანა კი ეხლა მეტად გაძნელებულია ქიზიყში, რადგანაც ამაზე მოუსავლიანი და ქესატი წელიწადი ერთი ორი სხვა არ უნახავთ აქაურებს. ამიტომ ამ სოფლის საზოგადოებათ შემდეგ საშუალებას მიჰმართეს. 18 მარტის ყრილობაზე განაჩენები დაადგინეს, წარსადგენად სადაც ჯერ არს. განაჩენებში ასწერენ, მოუსავლიან წელიწადს, თვისს უმწეო მდგომარეობას და იმ გარემოებას, რომ ქიაურის მამულში ორი წილი ტყეა,

მიუგო: „არამც და არამც არ შემიძლია; ახლა მე ვერავისთვის ვერ მივატოვებ თამაშს და რაც საქმე აქვს, ნატოს უთხარი და ის გაარიგებსო.

აი ნამდვილი ტიპი ჩვენებური დაუდევარის, მფლანგავის, მაგრამ გულუხვის და უდარდელის თავადიშვილისა! როგორც ადამიანნი, ისინი ჩინებულნი არიან: ზრდილობიანი, თანამგრძნობნი, გამტანი, პატიოსანი მაგრამ, როგორც მეოჯახე-მემამულენი, ისინი ღმერთმა შეინახოს. მათ არა გაეგებათ რა ეკონომიისა, ზომიერებისა; წინ არ იხედებიან; რა ძოლით, იმის დარდიც არა აქვთ. ამისათვის მამულ-დედულს „ნაჭერნაჭერ“ ჰყიდიან, „ბითურ ცხრაში“ აგებენ ან უაზროდ ფლანგავენ. მათი ავლა-დიდება სხვას რჩება; მათ სასახლეებში სხვები პინტრიშობენ და თითონ კი ხშირად უბრალო პოლიციის მოხელეობით თავს ირჩენენ. კიდევ კარგი, თუ რომ თავად ლევანის მამულ-დედული და ავლა-დიდება რაჭველ პარმენზე გადავა,—„ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო“, ნათქვამია. მაგრამ უბედურობა ის არის, რომ ჩვენი თავად-აზნაურობის ქონება ვიგინდრებს უვარდება ხელში, იმისთანა პირნი ეპატრონებიან, რომლებიც მათვე შემდეგში თავზე აჯდებიან და ბატონობასაც ჰკრამობენ. მოვისმინოთ სისხლით და ნაღველით შეზავებული სიტყვები ჩვენი მგოსნის — გრ. ორბელიანის: „კახეთის ვენახები ერთად დაგირავებულია სომხების ხელში ისე, რომ თავის დღეში ვერ გამოვლენ ვალიდან და ხალხი მუშაობს მხოლოდ სომხებისათვის მუქთად. ქალაქ ტფილისის მამულებიც ეცლებათ ქართველებს ხელიდან. ახლა სოსიკოს სახლში სდგას პოლოზოვი, სარდიონის სახლში საგინოვი, ალექსანდრეს ადგილს—აბონიანცი, ძაღლი და მამაძაღლი. ჩვენ ქუჩაში ჩემს ბიძაშვილის მაგიერ ჩამოესახლნენ პოლოზოვები, აბოვიანცები! ფიტარეთი, ჩვენი მამა-პაპის სასაფლაო, უფალ თაიროვს გაუხდია ცხვრების ფარეხად. ჩვენ (ორბელიანები) ვილუპებით, მაგრამ არც სხვანი ბედნიერდებიან: მოგვდევენ დიდად გაჩქარებულნი სოლოღიანნი, ბარათაანი, ერისთავნი, აბაშიანნი, თარხნიანნი, ჰავჭავაძიანნი, ვაჩნაძიანნი და სხვანნი და დიდად ცდილობენ, რომელი მათგანი უფრო მალე დაიღუპება“ (წერილებიდან 26 იანვ. 1875 წ. და 29 იანვ. 1882 წ.)

ბოლოს დროს სომხებს სხვებიც მიემატნენ და ჩვენი თავად ლევანების მიწა-წყალი საბოლოოდ მათს ხელში გადადის...

ჩვენი კეთილ-შობილნი კი დღესაც ცაცხვის ქვეშ ქეიფს ეწევიან და, მიუხედავად დალარიბებისა, „მაკაოში“ ბლომად ფულებს აგებენ.

დ. მეგრელის საუკეთესო მოთხრობებად ისინი ჩაითვლებიან, რომლებშიაც ბავშვების ფსიხოლოგია აქვს გამოხატული. ამ მოთხრობებშიაც მწერალს ჰუმანიური აზრები და იდეია აქვს გატარებული; მას მიზნად დაუსახავს მკითხველის სულის გაფაქიზება და მის გულში სიყვარულის და სიბრალულის გაღვიძება. საზოგადოდ ამ თვისებაშია დ. მეგრელის ყველა მოთხრობის, კერძოდ ბავშვების ცხოვრებიდან აღებულ მოთხრობების, მნიშვნელობა ოღონდ ამ უკანასკნელებში ავტორი უფრო ზომიერია: მარტივად და მხატრულადაც აქვს სურათი აღწერილი. ამ შინაარსის და ხასიათის მოთხრობები ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველებზე და კეთილ შობლურ გრძნობათა სიტკბოებას აგრძნობინებს მათ. ასეთებია დ. მეგრელის პატარა მოთხრობები: „კეთილი პეტრე“, „პატარა ქველ-მოქმედი“ და შედევრი მთელს ქართულს ლიტერატურაში—„ქინაქინა“.

„კეთილ პეტრეში“ ავტორს (მოთხრობა ორი გვერდია) გაკვრით გამოხატული აქვს პატარა ბავშვების ნაზი ამხანაგობა და მეგობრობა—ლიზა ეპატიჟება „თავის ძმიკოს“—ტიტოს ქალაქ გარედ სასეირნოდ. სხვათა შორის, ის სწერს ტიტოს: „აბა შენ იცი, თუ დღეს მასწავლებლებს არ აწყენინებ, თორემ უსადილოდ რომ დაგტოვონ, ვეღარ მოგვისწრებ და მე ძალიან მეწყინება“. ტიტო ცდილობს, ძლიერ ცდილობს ლიზას დარიგება აასრულოს და სანატრელ დროს გატარებას არ მოსცდეს. ის სკოლაში გაკვეთილზე ზის სულგანაბული და ყურადღებით უსმენს მასწავლებელს. მაგრამ ტიტიკოს საუბედუროდ დრო გრძელდება, თითქოს ერთი საათის მაგიერ რამოდენიმე საათი გადააბეს ერთადო. მოსწყინდა ტიტოს; დროს შესამოკლებლად ლიზას წერილი ამოიღო და კითხვა დაიწყო; კითხვას გაღიმება მოჰყვა; გაღიმებას ჩურჩული გვერდით მჯდომ ამხანაგებთან; მერე სულაც დაავიწყდათ გაკვეთილზე ისხდნენ თუ არა ® გააბეს მხურვალე მუსაიფი... ეს მასწავლებელმა შენიშნა, ბარათი წაართვა ტიტოს და ორი საათით უსადილოდ დასტოვა. ამნაირად მოხდა ის რის შესახებაც აფრთხილებდა ლიზა ტიტიკოს. ის სურათი, თუ როგორ „სულგანაბული“ და გულით მონდომილი ტიტიკო (ტიტო) თან და თან ჰკარგავს მოთმინებას, ერთობა ოცნებაში და ავიწყდება თვისი მიზანი,—ეს სურათი მშვენივრად აქვს აწერილი ჩვენს ავტორს. ეს ადგილი მოთხრობისა სწორედ კლასიკური ნიმუშია გატაცებული ბავშვის ყურადღების ცვალებადობის ® მისი ნებაგონების უძლურებისა ფანტაზიაოცნების წინაშე!

ამ პატარა დრამის მეორე მომენტიც მოხდენილად და შესაფერად აქვს ავტორს აწერილი. პეტრე, სკოლის მოსამსახურე, რომელსაც მასწავლებელმა ჩააბარა ორი საათით ტიტიკო, ცოცხლად სდგას ჩვენ წინ. როგორც მოვალეობის აღმასრულებელი, ის ცდილობს სასტიკად ცდილობს აასრულოს ბრძანება. პეტრეზე ვერ იმოქმედა ტიტიკოს გულაჩუყებულმა მოთხრობამ საქმის ვითარებაზე და ცივად უთხრა: „არ შეიძლებაო“. მაგრამ როგორც მამა პატარა შვილებისა, ის უძლურია ტიტიკოს თხოვნის წინაშე და ათავისუფლებს მას. ვის არ ეხსომება სკოლის ცხოვრებიდან ასეთი ტიპი გარეგნულად მკაცრი, მაგრამ თავისთავად გულჩვილი და მოსიყვარულე, „სტოროჟისა“!

ამ მშვენიერ მოთხრობაში ერთი ადგილია ჩვენის აზრით, არა ბუნებრივი, ყალბი. ეს ის ადგილია, სადაც აღელვებული, გულ-აჩუყებული და თვალცრემლიანი პატარა ტიტიკო დამჯდარ ® დაწყნარებულ ქაბუკივით ლოღიკურად მსჯელობს ® თვისი ლოღიკის ძალით სურს პეტრეს თავი გააშვებინოს. „პეტრე, მოისმა ამ დროს ტიტიკოს სიტყვები: ახლა: რომ ვისმეს დაეჭირა შენი პატარა ბიჭი დედასთან და დასთან არ გაეშვა, კარგი იქნებოდა? პეტრეს სახე დაეჭმანა ამის გაგონებაზე. „—პეტრე, მეც ისე მინდა ახლა წასვლა, როგორც შენს ბიჭს; მეც ისე მიცდის ლიზა, როგორც მას უცდიდა დედა და და. „გამიშვი ჩემო პეტრე, გამიშვი და ყოველთვის შენთვის ვილოცავთ მე და ლიზა“. ვინ არ იტყვის რომ უკანასკნელი ფრაზა კარგია, მხოლოდ ისიც უეჭველია, რომ ის არ არის დღევანდელი ჩვენი ქართველი ბავშვის პირში ბუნებრივი. ეს თვისება ავტორს უსესხია და ქართველ ბავშვის დასახასიათებლად მოუტანია!

„**პატარა ქველმოქმედის**“ იდეა ზნეობრივია. აქ აღწერილია ქველმოქმედება პატარა პეტრესი, რომელიც დიდის ოფლით და დაგვით აღებულს ფულს (ერთ შაურს) გლახას აჩვდის, რადგანაც უკანასკნელი თვისი უმწეობით სიბრალულს იწვევს მის გაურყვნელ და გაუქვავებელ გულში.

ამავე დროს პეტრე, თუმცა პატარაა, მაგრამ მაინც გრძნობს, რომ არა აქვს უფლება გულს აჰყვეს და დედის ფული თავის ნებაზე დახარჯოს, ან ვისმე მისცეს. მაგრამ მას ადამიანური, ცხოვრებისაგან ჯერ გაურყვნელი, გრძნობაც ვერ დაუყუჩებია... შედეგი—ის შაურს აძლევს გლახას. პეტრე დარწმუნებულია, რომ დანაშაული ჩაიდინა და ვერც კი ბედავს შინ დაბრუნებას. მოხდენილად და ლამაზად არის აღწერილი ის სცენა, როდესაც პეტრე დედას ფულს უთვლის და უკანასკნელი გამოჰკითხავს შაურის დაკარგვის ამბავს. აქ საუცხოვოდ არის დახატული ბავშვის სულის კვეთება, მისი, ვითომც და დანაშაულის, შეგნება. სანამ თვით მთხოვარმა არ უთხრა დედას: პეტრემ მე მომცა შაურიო, ბავშვი ვერ ჰბედავს თავის საქციელის გამომჟღავნებას: სტირის, იტანჯება. როდესაც გამწყრალ-გაბრაზებულმა პეტრეს დედამ შეიტყო ნამდვილი მიზეზი შაურის დაკარგვისა, მას „სიხარულის ცრემლებით აევსო თვალები; მოხვია ხელი თავის პატარა ქველმოქმედს და ორივე დედა-შვილი მხიარულად წავიდნენ შინისაკენ“.

თემა ამ პატარა მოთხრობისა მშვენიერია. ბრძოლა პეტრეში ორი მოწინააღმდეგე გრძნობისა (სიბრალულისა და მოვალეობისა) ბუნებრივია. მაგრამ ამ გრძნობათა ბრძოლის დაწვრილებითი გაღრმავებული ანალიზი და მსჯელობა ნაძალადევად და გადაჭარბებულად მიგვაჩნია. რაც გინდა იყოს, მოთხრობა კარგს შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე თავის კაცთმოყვარულ და ჰუმანიურ იდეით.

დ. მეგრელის მოთხრობა „**ქინაქინა**“ ყოველმხრივ საუცხოვო ნაწარმოებია: მაღალი აზრი, უწმინდესი გრძნობა, მშვენიერი ფორმა, ტეხნიკა, მარტივობა, ბუნებრივობა აქ ერთად შეხამებულ-შეზავებულია და აღმოუფხვრელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ეს პატარა მოთხრობა ერთ და იმავე დროს კეთილშობილური აზრის და გრძნობის ქადაგებაა, ჩვენს ლიტერატურაში უბადლო ბავშვის სულის ანალიზი და ყოფა-ცხოვრების აღწერაა. ამ მოთხრობის კითხვის დროს სიამოვნებით გამოწვეული ცრემლები გერევათ თვალებში და რაღაც გამამხნევებელ და გამაფაქიზებელ ზედმოქმედებას განიცდით. ასეთს გრძნობას რომ არ განიცდიდეს ხანდისხან ადამიანი, ის მართლაც გაქვავდება, გამხეცდება. ამ მოთხრობაში დ. მეგრელის ნიჭი უნაკლოდ გამოკაშკაშებს. და რომ მას ამ მოთხრობის მეტი არაფერი არ დაეწერა, მაინც ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში მისი სახელი უკვდავი იქნებოდა. ჩვენს გაკვრით მსჯელობას ამ მოთხრობის შესახებ დავაბოლოვებთ ამ მოთხრობისავე უკანასკნელ, ცოტათი შეცვლილ, სიტყვებით: „აუწერელია ის სიამოვნება, რომელსაც მოთხრობა აგრძნობინებს როგორც მშობლებს, ისე შვილებს; ამისი მხოლოდ გრძნობა შეიძლება და არა გამოთქმა.“ (გვ. 58).

**ივ. ვართაგავა.**

რომლით სარგებლობაც აკრძალული აქვსთ, დანარჩენ ერთი წილი სახნავ მიწის ღალა—იმდენი არ შემოდის, რომ გადასახადის ნახევარს მაინც უდრიდეს, ამიტომ მუდარით სთხოვენ ბანკის გამგეობას ადროვოს ამ სამ სოფლის საზოგადოებას ეს სავადო გადასახადი, ჯარიმებს ნუ გამოართმევს, აცადოს სანამ მოსავლიანი, რიგიანი წელიწადი მოუვათ... ვნახოთ ადროვებენ თუ არა!...

დიდი სიფრთხილე კი ჰმართებთ, მახეში არ გაებნენ მაწიმელებსავით...

**მაწიმი**, ახალა „ცოდნად“ წოდებული მდებარეობს ლაგოდახს ზემოდ და იქ პირველად უმიწა-წყლობით შეწუხებული ჯუგაანელნი გადასახლდნენ ორმოცდა ათ კომლამდე, გააშენეს სახლები, მოეწყვნენ მშვენივრად, მაგრამ იმ წელიწადსვე გამოუცხადეს: ეს ადგილი შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულთათვის არის დანიშნულიო. მაგრამ მაწიმელნი ყურებს არ იბერტყავდნენ, არ ეპუებოდნენ. ბევრი საჩივარი, ბევრი დავიდარაბა გამოიარეს. ბოლოს ნებით რომ ვერ აჰყარეს, ეზოებშივე გადმოსახლებულები ჩაასახლეს და იმათაც იქვე მაწიმელთა გვერდზე მეორე სახლები აიშენეს... ეს მიმდინარეობდა საქმე აქნობამდის—ეხლა კი, როგორც გადმომცეს, მაწიმელნი უკვე აუყრიათ და გამოურეკნიათ... ჯუგაანში მათ აღარ მოესვლევინებათ, რადგანაც რაც კი წინეთ ქოხმახი—ეზო ჰქონდათ კარგა ხანია მიყიდულ-მოყიდული აქვთ და ჯუგაანში ვინღა მოუშვებს?!...

თუმცა წელს, როგორც ვწერდი, მოსავალს მშვენიერი პირი უჩანს, ჯეჯილს კარგი მოსულობა აქვს, მაგრამ უწვიმობამ და ქარმა ძრიელ შეაწუხა მოსავალი. თვეზე მეტია, რაც მიწას რიგიანი წვიმა არ მოჰხვედრია, ქარი კი ზედიზედ რამდენჯერმე იყო და სრულებით გამოფიტა ბალახიცა და ჯეჯილიც.... განსაკუთრებით შეწუხებული ყოფილა უწვიმობისაგან. ს. ქვემო-მაჩხაანელთა მინდორი, ამიტომ ამათაც ძველ, საშუალებისთვის მიუმართავთ: ელიას შეჰღაღადეს და მოსავლისათვის წვიმა შესთხოვეს, სალმრთო და პარაკლისები გადაიხადეს მინდორში...

X.

# ირლანდიის ავტონომია

დეპეშები

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ირლანდიის საავტონომიო კანონპროექტის პირველი განხილვა დაამთავრეს ნაციონალისტთა და ლიბერალთა სამხიარულო ყიჟინითა და ტაშის ცემით. კანონპროექტი მიიღეს 360 ხმით 266 წინაამდეგ.

**გაზეთებიდან**

ამას წინად ინგლისის პარლამენტში ირლანდიის საავტონომიო კანონ-პროექტი შეიტანეს და როგორც დღევანდელი დეპეშა იუწყება მიიღეს კიდეც. ხალხით სავსე ყოფილა პარლამენტის სადგომი, მაგრამ მაინც იმდენი არა ყოფილა, რამდენიც 1886 და 1893 წელსა, როდესაც პირველად შეიტანეს ამის კანონპროექტი და ლორდთა პალატამ უარჰყო. ინგლისელი ამ აზრს უკვე შეეჩვია და აღარ ეშინიან ირლანდიის ავტონომიის ხსენებისა.

ინგლისის უნიონისტები, რასაკვირველია, დიდ წინააღმდეგობას გაუწევენ ირლანდიისათვის ავტონომიის მინიჭებას. უნიონისტები საზოგადოებათა პალატაში ვერაფერს გახდებიან, მაგრამ ლორრდთა პალატას კი აიძულებენ უარჰყოს კანონპროექტი. ლიბერალთა და ირლანდიელთა საბედნიეროდ ლორდთა პალატას ეხლა ის უფლება აღარა აქვს, რაიც 1893 წ. ჰქონია. ეხლა მის „ვეტოს“ (ავკრძალავ) აბსოლიუტური მნიშვნელობა აღარა აქვს და ლორდთა პალატას მხოლოდ 1914 წლის გაზაფხულამდე შეუძლიან შეაფერხოს ირლანდიის ავტონომიის საქმე. თუ უნიონისტებმა ამ დროის განმავლობაში მოახერხეს რამე ხომ კარგი, თუ არა და მაშინ საქმე გაკეთებულია. თვით უნიონისტები კი დაღონებულნი არიან და იმედი აღარა აქვთ, ამბობენ: ხალხი ასკვიტის რევოლუციონურ გეგმას არ ეწინააღმდეგებაო.

# ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები

**პეკინი.** თაონშაი, მინისტრები და სათათბირო კრების წევრები პეკინს 20 აპრილს ჩამოვლენ. კაბინეთი დედა ქალაქში იქნება.

**ტიბეტელების აჯანყება.**

**სიმლა.** დაწვრილებითი ცნობები უკვე მოვიდა ლხისაში მომხდარ ჩინელებისა და ტიბეტლების ბრძოლის თაობაზე. ტიბეტლები იუწყებიან, არეულობა დაიწყო კონფერენციის შემდეგო, რომელიც ჩინელების ახალ გუბერნატორს მოუწვევია. ერთ ტიბეტელ მოხელეს ისე გულახდილად ულაპარაკნია, რომ გუბერნატორს მისი დაჭერა და დასჯა უბრძანებია. ტიბეტელს მონასტრისათვის შეუფარებია თავი, ლხასას ახლო. ჩინელთა ჯარი სამი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ ესროდა მონასტერს, ვერაფერს გახდა და დიდად დაზარალებულმა ლხასისაკენ დაიწია. მთელი ტიბეტი აჯანყდა. ბევრი ჩინელი დახოცეს. სიკვდილს გადარჩენილი ამმანი (მმართველი) თავის შტაბით დალაი—ლამის ძმის სასახლეში დამალულა.

# ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

**სტამბოლი.** რუსეთის საელჩოს მრჩეველმა სვეჩინმა გარეშე საქმეთა მინისტრს შეუთვალა: რუსეთისათვის საჭიროა მშვიდობიანობის აღდგენა. და რა პირობებით ჰსურს ოსმალეთს ზავის ჩამოგდებაო. ასეთივე წინადადება მიუციათ საფრანგეთისა, ინგლისისა, გერმანიისა და ავსტრიის ელჩებს.

**რომი.** ზემოხსენებულ წინადადების გამო იტალიელთა გაზეთები სწერენ: ოსმალეთის პირობები ჩვენი პირობების სრული უარყოფა იქნებაო.

**დერნა.** ამას წინად ოსმალებმა იტალიელების პირდაპირ მაღლობი ადგილი დაიჭირეს პოზიციად და სამ აპრილს ზარბაზანი დაუშინეს იტალიის ჯარსა. სიმაგრის მცველ რაზმს სხვა რაზმი მიჰშველებია და მოიგერიშენი უკუ უქცევიათ. იტალიელებისათვის ერთი მოუკლავთ, ერთი დაუჭრიათ.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

5 აპრილი.

**საზღვარ-გარედ.**

**გემის დაღუპვა.**

**ნიუ-იორკი.** გემ „ტიტანიკას“ უმავთულო ტელეგრაფის საშუალებით ბევრ გემისათვის უცნობებია უბედურობის ამბავი, მაგრამ ერთიც ვერ მიჰშველებია დროზე. გემი „კარპატია“-რო მისულა, დიდი საცოდაობა უნახავს. ვინც გადარჩენილიყო დაღუპვასა, ნახევრად ტიტველი ისხდნენ ნავებში და სიცივით კანკალებდნენ. „კარპატიას“ 868 მგზავრი გადაურჩენია, უმეტესობა ქალები და ყმაწვილები. ვაჟკაცი მხოლოდ 79 ყოფილა. „უაიტ-სტარის“ ნიუ-იორკის კანტორის წინ საშინელ, შემაძრწუნებელ სურათებსა ჰნახავს ადამიანი.

„უაიტ-სტარის“ კომპანია იუწყება, პირველ კლასის 325 მგზავრში 202 გადავირჩინეთ, მეორის 285 კაცში 114-ტიო.

„ტიტანიკის“ დაძირვის დროს დაღუპულან ინგლისის გამოჩენილი ჟურნალისტი და პუბლიცისტი ვილიამ სტედი, ამერიკელთა მწერალი ჯაკ ფულველი და კანადისა და შეერთებულ შტატების ბევრი გამოჩენილი მოღვაწე.

სულ დაღუპულა 1325 კაცი.

აი საქმე, როგორ ყოფილა. გემი „ტიტანიკი“ დასჯახებია ყინულის დიდ გორას და დაზიანებულა. გემის უფროსს უმავთულო ტელეგრაფით უცნობებია უბედურობა და შველა უთხოვნია. საშინელ ბურუსსა და წყვდიადს მოუცავს არე და რამდენიმეჯერ კიდევ დასტაკებია ყინულსა. უცებ ისე დასჯახებია რაღაცას „ტიტანიკი“, რომ მოსადილე მგზავრები წაქცეულან და შეშინებული ხალხი ბაქანზე ასულა. უფროსი შემცდარა და ნიუ-იორკისათვის უცნობებია, გემი დაუხმარებლადაც მოაღწევს მანდამდეო.

**კუენქედერვარის გადადგომა.**

**ვენა.** კუენქედერვარმა იმპერატორის სამსახურიდან გადადგომის თხოვნა მიართვა. თხოვნა შეუწყნარებიათ.

**ხორვატიის საკითხი.**

**ბუდაპეშტი.** იუსტის პარტიის წევრმა გრაფმა ბათიანმა ხორვატიის საკითხის გამო ილაპარაკა. ბათიანმა დაჰგმო ტრიალიზმისაკენ მისწრაფება და დასძინა: ვერც ხორვატიის მართვა-გამგეობის სისტემასა და კომისარის დანიშვნას მოვიწონებ, რადგანაც იგი სახელს გაუტეხს ევროპაში ჰუნგრეთსაო. გერმანიის იმპერია აღმოსავლეთისაკენ მოიწევს და ეს ავსტრიისათვისაც ისევე არის საშიში, როგორც სლავიანელებისათვის და ორნივე ერთმანეთს უნდა ეხმარებოდნენო. ჰუნგრეთი და ხორვატია უნდა შეერთდნენ, გერმანიზმს ერთად უნდა ებრძოლონ. ბოსნიაში მცხოვრებ სერბიელ მაჰმადიანებს წინად ჰუნგრეთისაკენ ეჭირათ თვალი, ეხლა კი საშინლად სძულთ და არც ავსტრია მოსწონთო.

**ზაგრები.** რეკის გაზეთი „ნოვი ლისტი“ ვეღარ გამოსულა, რადგან რამდენიმეჯერ შეაჩერეს ნომრები. დალმაციაში ხორვატელთა გაზეთებს ისევ სდევნიან.

**სერაევო.** ოლქის უფროსმა პოტიორეკმა ხორვატელთა ბელადები სუნარიჩი და მანდიჩი მოიწვია და მოლაპარაკება ჰქონდა სეიმის სესიის გამო. ბელადებმა განუცხადეს, ხორვატელები და მაჰმადიანები ხორვატიის შევიწროვების საპროტესტოდ ობსტრუქციას გაჰმართავენო. პოტრიორეკი ვენას წავიდა.

# გასართობი

**ქალაქის გაცოფიანება.** რუსის მწერალს ანტ. ჩეხოვს ძალიან უყვარდა ხუმრობა და მარილიანადაც ასრულებდა ხოლმე თავის მოვალეობასა. გაზეთ „ნოვოსტი დნია“-ში რომ თანამშრომლობდა, ჩეხოვს ფსევდონიმად ჰქონია „ანტოშა ჩეხონტე“. იგი თურმე მოიგონებდა რომელსამე ფანტანსტიურ ამბავს და ამით ერთობოდა. ერთხელ ამხანაგს დანაძლევებია, გაზეთში რა სისულელეც უნდა დავბეჭდო, მაინც სხვა გაზეთები გადაბეჭდვენო. სანიმუშოდ დაუწერია ასეთი ახალი ამბავი: „ქალაქის გაცოფიანება (ცოფიანობის ეპიდემია). მასაჩუზეტსის შტატის ქალაქ ოგაიოში საშინელი და შემაძრწუნებელი გადამდები სენი გაჩენილა. ცოფიანს ძაღლს დაუკბენია ვიღაც ბავშვი. სამწუხაროდ, ბავშვისათვის მშობლებს დროზე ყურადღება არ მიუქცევიათ და გაცოფიანებულ ბავშვს სასწავლებელში დაუკბენია ამხანაგები და მასწავლებელნი. მათ კი თავისი მშობლები და შინაურები დაუკბენიათ და ცოფი მოუდვიათ. ცოტა ხნის შემდეგ მთელ ქალაქს გადასდებია ცოფი. ქალაქის საბჭოს სხდომა გაუმართავს ამის გამო და თათბირი ჰქონია, რაც ვქნათო. მაგრამ შუა სხდომაზე ქალაქის მოურავი წამომხტარა და ყველა ხმოსანი დაუცოფნია, ეხლა ქალაქს ოგაიოს ჯარი შემორტყმია და საშინელებას წარმოადგენს, მცხოვრებნი ქუჩა-ქუჩა დაძრწიან და ერთმანეთს ჰკბენენ, ამ ბოლო დროს მოსულ ცნობების მიხედვით ქალაქელებს ძალიან თურმე ეშინიანთ წყლისა“. ჩეხოვს მოუგია სანაძლეო და ეს ამბავი გადაუბეჭდია რუსეთის თითქმის ყველა გაზეთს. ოღონდ ბოლო ფრაზა ასე გადაუკეთებიათ: წყალსადენი აღარა მოქმედობს...

რედაქტორ-გამომცემელი **ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

**მატარებელთა მიმოსვლა**

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

**ტფილისიდან გადის.**

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., სად. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. სად. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ბ, I—II კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. სად. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის სად. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, I—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბათომიდან:** 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. № 5, I—II კლას. სად. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, IV—III კლ. ღამის 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზ. № 61/0, I—II კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **3. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715) |

## გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

**რუსეთის საზოგადოებისა.**

**ბათომიდან გადის:** ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

**სახალხო-საქონლის** გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარაკსეობით შუაღამეს.


# განცხადებანი

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

**სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,** გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიო საქმისათვის. ძიებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** (თ. 1646.41)

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

**დ ი ლ ი თ:**

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა ნ ვასარდიანი.** (წ. 1074.50)

**ყოველ-დღე მოგვდის:** ახალ-ახალი ქვირითი 2 მ. 60 კ. გირ. ბოჩკის ხიზილა, 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, შამაია და ყოველგვარი გამოსული თევზი (წ.—1131—31)

**სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ალაჯალოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დილის 11—12 ს.
**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.
**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნერვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.
**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.
**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.
**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შედგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წ ა მ ლ ო ბ ა „606“-ით.** (100—1615—49)

**ქ. გ ო რ შ ი (ბედაბეთის მიდამოში) იყიდება ან იძლევა იჯარით** მშვენივრად შემოზღუდული ორი ხეხილიანი ვენახი—საკმარისი სარწყავი წყლით, ზომით ერთი 600, და მეორე 1200 საჟენი; თვითეულ მათში იმყოფება ქვიტკირის სახლი, სათონე —მარნით. ცნობებისათვის მსურველთ შეუძლიანთ მიმართოვ: ქ. **ტფილისში**, ნიკოლოზის ქ. № 75, **ა თ-ძე მიროტიძე, გორში—ფოტოგრაფ არუმიძეს.** (10.349.1)

**ფეხსაცმელები თომა დ. ჯანჯარაშვილის მაღაზია-სახელოსნოში.** იყიდება ყოველნაირი ფეხსაცმელი ქალისა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე ვიღებთ შეკვეთიდაც, ვამზადებთ საუკეთესო მასალისაგან ზომიერ ფასებში და ვასრულებთ პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 2. (25—285—22)

**დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე** სადგურ გომის ს. წრომში, სადგურიდან 2 ვერს. **„გიორგის შრომა“** სანერგეს აქვს დამზადებული დიდძალი დამყნილი ამერიკულ დღესვებული ვაზი, სხ. და სხ. ჯიშისა. 1) ნამყენი ამერ. ვაზისა, კახური, ქართლ. და ევროპ. ჯიშებისა—ფასი 100—5—7 მან. 2) ამერიკ. ვაზი დაფესვ. 1000—6—10 მან. 3) სალობავი ეკალი (გლედიჩია) 100—3—6 მან. დაწვრილ. ცნობ. მიმართეთ: **სადგ. გომი** (ამიერ კავკ. რკ. გზა) **გიორ. ბეჟან. ტატიშვილს.** (თ.—1145—21

**თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები.** პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.

**1912 წ. მიიღება ხელის მოწერა** დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ **„ნ ა კ ა დ უ ლ“-ზე**

✦ **წელიწადი მერვე.** ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24 წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12 წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს **დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●●—**
**—●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** გ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—627—5 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

**თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზია** (ქუთაისში) შეუდგა **კიტა აბაშიძის** თხზულების **„ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“ მ ე ო რ ე ტ ო მ ი ს** ბეჭდვას. ამ ტომში მოთავსებული იქნება აკ. წერეთლის, გ. წერეთლის, ა. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველასი, დ. კლდიაშვილის, ე. ნინოშვილის და სხვა თხზულებათა კრიტიკული გარჩევა. წიგნი სივრცით 300 გვერდამდი იქნება. წინასწარი ხელმოწერით ღირს **ორ აბაზად.** წიგნის გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება.

**მეორე ტომზე ხელის მომწერს პირველი ტომი ათ შაურათ დაეთმობა.**

**ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა:**

**ქუთაისში:** მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და „იმერეთის“ კანტორაში.
**ტფილისში:** წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში და ი. მერკვილაძესთან.
**ბაქოში:** ვას. ახვლედიანთან და ვას. ქიქოძესთან.
**ბათუმში:** ირ. ავალიშვილთან.
**გორში:** არჩვაძის წიგნის მაღაზიაში.
**ფოთში:** ივ. ყანჩელთან.
**სოხუმში:** ნ. ჯანაშიასთან.
**კავკავში:** ვ. ბურჯანაძესთან.
**ხონში:** წ. კ. განყ. წიგ. მაღაზიაში და ეკ. ბახტაძის მეუღლესთან.
**ოზურგეთში:** „შრომის“ წიგნის მაღაზიაში.
**სამტრედიაში:** წ. კ. განყოფ. წიგნის მაღაზიაში.
**ზესტაფონში:** წ. კ. განყოფ. წიგნის მაღაზიაში.
**ჯიხაიშში:** ექ. ლოსაბერიძესთან.
**ჭიათურაში:** ივ. გომელაურთან და ირ. დეკანოზიშვილთან.
**ძვ. სენაკში:** დ. ღურეშიძესთან.
**ახ. სენაკში:** დგებუაძის წიგნის მაღაზიაში. (5—1184—4)